

სტუდენტურ საქმეთა ცენტრის დებულება

დამტკიცებულია პარტნიორთა კრების 2016 წლის 1 ივნისის N 4/16 ოქმით

ცვლილება N1 - დამტკიცებული პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N 14/19 ოქმით

მუხლი 1. მიზანი

1. მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების განვითარების, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სტუდენტების ჩართულობის გაზრდის, სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობის და მოქმედ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან მუდმივი კონტაქტის შენარჩუნების მიზნით იქმნება სტუდენტური კლუბების და სერვისების ცენტრი.

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველი კლუბის რეგისტრაცია/გაუქმება

1. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველი კლუბის (შემდეგში - კლუბი) რეგისტრაციას ან რეგისტრირებული კლუბის გაუქმებას ახდენს სტუდენტური კლუბების და სერვისების ცენტრი (შემდეგში - ცენტრი). კლუბის რეგისტრაცია/გაუქმება ხორციელდება წინამდებარე დებულების საფუძველზე.

2. კლუბის რეგისტრაცია ხორციელდება „ჩემი UG“-დან ონლაინ-სარეგისტრაციო ფორმის მეშვეობით. განმცხადებელი კლუბის რეგისტრაციისას წარადგენს კლუბის დებულებას, რომელიც უნდა შეიცავდეს:

2.1 კლუბის სახელწოდებას. სახელწოდება უნდა მოიცავდეს სიტყვებს „საქართველოს უნივერსიტეტის/შესაბამისი მიმართულების/ კლუბი“ ან „საქართველოს უნივერსიტეტის კლუბი/სახელწოდება/“. სახელწოდება არ უნდა ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული კლუბის სახელს;

2.2 ინფორმაციას დამფუძნებლების შესახებ (სახელი, გვარი, პირადი ნომერი). დამფუძნებლების რაოდენობა არ უნდა იყოს ხუთზე ნაკლები. კლუბის დამფუძნებელი/წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ აქტიური სტატუსის სტუდენტი. კლუბის მართვას ახორციელებენ დამფუძნებლები კლუბის დებულებით დადგენილი წესით;

2.3 ინფორმაციას კლუბის ძირითადი მიზნების/საქმიანობის შესახებ.

2.4 ინფორმაციას კლუბის დამფუძნებლების აკადემიური მოსწრების შესახებ. თითოეული დამფუძნებლის უკანასკნელი სემესტრის GPA არ უნდა იყოს 1.00-ზე ნაკლები (ცვლილება N1, დამტკიცებული პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N 14/19 ოქმით).

2.5 დამფუძნებლების მიერ კლუბის სარეგისტრაციო დოკუმენტაციის წარდგენის ვადებია ყოველი თვის 25-1 რიცხვები. სარეგისტრაციო დოკუმენტაციის წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას კლუბის რეგისტრაციის შესახებ ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შეთხვევაში მოტივირებული შენიშვნებით უკან უბრუნებს დამფუძნებლებს განაცხადს.

მუხლი 3. მოთხოვნები კლუბის დამფუძნებლის/წევრის მიმართ

1. კლუბის დამფუძნებელი არ შეიძლება იყოს სხვა კლუბის დამფუძნებელი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დარღვევისას სტუდენტური კლუბი ვალდებულია შეუწყვიტოს კლუბის წევრობა სტუდენტს, ფაქტის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

3. კლუბის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისას ცენტრი საქმიანობის წესის დარღვევისათვის კლუბს აკისრებს ამ დებულებით გათვალისწინებულ სანქციას.

სტუდენტურ საქმეთა ცენტრის დებულება

დამტკიცებულია პარტნიორთა აკრების 2016 წლის 1 ივნისის N 4/16 ოქმით

ცვლილება N1 - დამტკიცებული პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N 14/19 ოქმით

მუხლი 4. სტუდენტური კლუბების და სერვისების ცენტრის ფუნქციები

1. სტუდენტური კლუბების და სერვისების ცენტრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:
 - ხელს უწყობს სტუდენტური კლუბების წინამდებარე დებულების მიხედვით ჩამოყალიბებას, რეგისტრაციამდე კონსულტაციებს უწევს კლუბის დამფუძნებლებს;
 - ხელს უწყობს კლუბის გამართულ, ნაყოფიერ და აქტიურ ფუნქციონირებას;
 - სტუდენტური აქტივობების შესახებ ინფორმაციას აწვდის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურს, ამ სამსახურთან შეთანხმებით მართავს ცენტრის ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებს;
 - ინფორმაციას აწვდის სტუდენტებს ყველა არსებული საშუალებით (ინტერანეტი/სოციალური ქსელი/უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფები/საინფორმაციო ეკრანი და ა.შ.);
 - კოორდინირებას უწევს სტუდენტური კლუბების პროექტებსა და აქტივობებს;
 - მონიტორინგს უწევს უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხების მიზნობრივ ხარჯვას. აღრიცხავს სტუდენტური კლუბების აქტივობებს და უზრუნველყოფს ყოველი აქტივობის შეფასებას;
 - სტუდენტური ტრენინგ ცენტრის მეშვეობით ატარებს საორიენტაციო დღეებს, საგანმანათლებლო პროექტებს;
 - დაფინანსებული სტუდენტური ფონდის ფარგლებში, განიხილავს და შეთანხმებს საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში პრორექტორთან სტუდენტური პროექტის მიზანშეწონილობას;
 - საჭიროებისამებრ ანახლებს კლუბის აქტივობის შესაბამის ლინკს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე;
 - სემესტრში ერთხელ ორგანიზებას უწევს სტუდენტური კლუბების ფორუმს. სემესტრში ერთხელ ორგანიზებას უწევს სტუდენტური ცხოვრების ფორუმს (შესაბამისი სამსახურების ჩართულობით);
 - პოპულარიზაციას უწევს სამსახურის სხვა სერვისებს და ხელს უწყობს სტუდენტური აქტივობების მოტივაციას;
 - აწესებს მიღების საათებს კლუბის წარმომადგენლებთან შეხვედრის მიზნით;
 - პროექტის დასაგეგმად და მასზე სამუშაოდ ცენტრი ათავსებს კლუბს უნივერსიტეტის რომელიმე ოთახში ან აუდიტორიაში. ცენტრს 4 დღით ადრე უნდა ეცნობის შესაბამისი საუნივერსიტეტო სივრცით სარგებლობის მიზანი, დრო და სტუდენტების ოდენობა;
 - ცენტრი მონიტორინგს უწევს განხორციელებული პროექტების რეპორტის განთავსებას კლუბების გვერდზე და ასევე სტუდენტების გვერდზე;
 - ცენტრი ახორციელებს მონიტორინგს ყველა პროექტზე და ადგენს სტუდენტთა ჩართულობას პროექტის განხორციელებაში. ეს ინფორმაცია საბოლოოდ განთავსდება თითოეული სტუდენტის გვერდზე;
2. ცენტრი ვალდებულია კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად განიხილოს ყველა პროექტი, კეთილსინდისიერად მართოს სტუდენტური აქტივობებისათვის გამოყოფილი სტუდენტური ფონდი საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში პრორექტორთან შეთანხმებით.

3. კლუბის მიერ სტუდენტური პროექტის განხორციელებისას ცენტრი ვალდებულია უზრუნველყოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის და საჭირო ინვენტარის (აუდიტორია, დარბაზი, აპარატურა ადჭურვილობა, საოფისე მასალები და სხვ.) მობილიზება.
4. ცენტრი უზრუნველყოფს მათთან არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების აღრიცხვას, უსაფრთხოებას, შენახვას და გამოყენებას, მათ შორის, სტუდენტური პროექტის საჭიროებისამებრ მათ მიწოდებას კლუბისათვის.
5. ცენტრი აუქმებს კლუბს, რომელსაც არ წარუდგენია პროექტი საგრანტო კონკურსზე ან არ განუხორციელებია აქტივობა ბოლო 5 თვის განმავლობაში (ცვლილება N1, დამტკიცებული პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N 14/19 ოქმით).

მუხლი 5. საგრანტო კონკურსი

1. ცენტრი კლუბების მიერ წარდგენილ დასაფინანსებელ პროექტებს განიხილავს თვეში ორჯერ, ყოველი თვის 1-5 რიცხვებში - პირველ რიცხვამდე წარმოდგენილ პროექტებს და ყოველი თვის 15-20 რიცხვებში - 15 რიცხვამდე წარმოდგენილ პროექტებს.
2. პროექტის წარდგენა შეუძლია მხოლოდ კლუბს ჩემი UG-ს მეშვეობით, ცენტრის მიერ დადგენილი ფორმით.
3. განაცხადის წარდგენის შემდეგ პროექტის განხილვამდე ცენტრი ამოწმებს პროექტის შესაბამისობას ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან.
4. პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: მინიმუმ 5 კაცის საორგანიზაციო ჯგუფი; გამოცდილება ანალოგიურ პროექტებში (სასურველი); სტუდენტების ჩართულობა (მინიმუმ 15 მოქმედი სტუდენტი) (სავალდებულო); ლოგიკური კავშირი მოთხოვნილ ბიუჯეტსა და აქტივობის მასშტაბურობას შორის; აქტივობის აქტუალობა, დროულობა, რელევანტურობა, სარგებელი; გაგრძელების შესაძლებლობა; რესურსების ეფექტური გამოყენება (მატერიალური და ტექნიკური); უსაფრთხოების გარანტიები; რისკები პროექტის განხორციელების დროს; კლუბის წარსული აქტივობების ხარისხი და ინტენსიურობა (სავალდებულო).
5. პროექტის თემატიკიდან გამომდინარე შესაძლებელია უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოიყენოს შეფასების დამატებითი კრიტერიუმები.
6. პროექტების შეფასებისას პრიორიტეტებია:
 - ინიციატორი კლუბის დამფუძნებელი სტუდენტების, კლუბის წევრების და პროექტების ბენეფიციარების აკადემიური მოსწრება;
 - კლუბის დამფუძნებლების/წევრების აქტიურობა, მათ შორის დასწრება უნივერსიტეტში ჩატარებულ საჯარო ლექციებზე;
 - შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროექტები;
 - სტუდენტებისა და სტუდენტური კლუბების განვითარების ხელშემწყობი აქტივობები;
 - ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშემწყობი აქტივობები;
 - სტუდენტებისათვის და საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის სასარგებლო აქტივობები.
7. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის კლუბის ყველა დამფუძნებელს და პროექტის ბენეფიციარებს უნდა ჰქონდეთ სტუდენტის აქტიური სტატუსი.
8. პროექტი, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან არ არის სრულყოფილად შევსებული, არ განიხილება. განუხილველი პროექტი, ცენტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით, უბრუნდება ინიციატორ კლუბს. ცენტრის

სტუდენტურ საქმეთა ცენტრის დებულება

დამტკიცებულია პარტნიორთა კრების 2016 წლის 1 ივნისის N 4/16 ოქმით

ცვლილება N1 - დამტკიცებული პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N 14/19 ოქმით

რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ კლუბს უფლება აქვს განმეორებით წარადგინოს პროექტი საგრანტო კონკურსში.

9. თვის 1-5 რიცხვებში დამტკიცებული პროექტების დაწყება შესაძლებელია 7 რიცხვიდან (არასამუშაო დღის დამთხვევის შემთხვევაში მომდევნო სამუშაო დღიდან).

10. თვის 15-20 რიცხვებში დამტკიცებული პროექტების დაწყება შესაძლებელია დამტკიცების მეორე სამუშაო დღიდან (არასამუშაო დღის დამთხვევის შემთხვევაში მომდევნო სამუშაო დღიდან) (ცვლილება N1, დამტკიცებული პარტნიორთა კრების 2019 წლი 18 აპრილის N 14/19 ოქმით).

11. ცენტრი, საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში პრორექტორთან შეთანხმებით ყოველთვიურად განიხილავს და აფასებს განვლილი თვის აქტივობებს და ლიდერ კლუბს ანიჭებს უფლებას მოაწყოს საკუთარი კლუბის გამოფენა, კამპუსში არსებულ სპეციალურ სივრცეში.

11¹. ვარსკვლავური სისტემა - საშუალებას აძლევს სტუდენტურ კლუბებს მათი მიღწევების/აქტიურობის შესაბამისად გაიზარდონ სემესტრული ბიუჯეტი.

11^{1.1} ვარსკვლავები გაიცემა 3 მიმართულებით:

- ყველაზე აქტიური კლუბი პროექტთა რაოდენობის მხრივ;
- ყველაზე მასშტაბური პროექტის ავტორი კლუბი;
- კლუბთაშორისი საერთო პროექტის მონაწილე კლუბი;

11^{1.2} ვარსკვლავური სისტემით გათვალისწინებული თანხობრივი ნამატი ცვალებადია და დამოკიდებულია უნივერსიტეტის წლიურ/სემესტრულ ბიუჯეტზე.

მუხლი 6. კლუბის ვალდებულებები პროექტის/აქტივობის განხორციელებისას

1. კლუბი აქტივობებს ახორციელებს პროფილიდან გამომდინარე, თემატურად. ყველა აქტივობაში უნდა ფიგურირებდეს საქართველოს უნივერსიტეტი. ნებისმიერი აქტივობის ბენეფიციარი უნდა იყოს მხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის სტუდენტი, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, აბიტურიენტი ან თანამშრომელი. თუ პროექტის/აქტივობის განხორციელებისას ბენეფიციარია სხვა პირი, წარდგენილ პროექტში ან განცხადებაში აქტივობის განხორციელების შესახებ, უნდა მიეთითოს მათი ოდენობა.

2. განსხვავებული თემატიკის აქტივობაში ჩართვის მიზნით კლუბი უფლებამოსილია პროექტის ირგვლივ გაერთიანდეს განსხვავებული (პროექტის შესაბამისი თემატიკის) კლუბთან.

3. ინფორმაციის გავრცელების მიზნით კლუბი ვალდებულია 4 სამუშაო დღით ადრე მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია ცენტრს;

4. საჯარო ლექციის ჩატარების მიზნით პირის მოწვევამდე კლუბი ვალდებულია აქტივობა შეათანხმოს ცენტრთან და მხოლოდ თანხმობის შემთხვევაში მოიწვიოს პირი. არჩევნებამდე 6 თვით ადრე აკრძალულია პოლიტიკური პარტიის წევრების ან/და პოლიტიკური თანამდებობის პირების მოწვევა.

4¹. კლუბი არ არის უფლებამოსილი მოიწვიოს სხვადასხვა მედია საშუალებები ან/და გააშუქოს სხვადასხვა მედია საშუალებებით ინფორმაცია მის მიერ დაგეგმილი პროექტის/აქტივობების

სტუდენტურ საქმეთა ცენტრის დებულება

დამტკიცებულია პარტნიორთა კრების 2016 წლის 1 ივნისის N 4/16 ოქმით

ცვლილება N1 - დამტკიცებული პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N 14/19 ოქმით

შესახებ (ცვლილება N1, დამტკიცებული პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N 14/19 ოქმით).

5. კლუბი განხორციელებულ პროექტზე ამზადებს მოხსენებით ბარათს, ფოტო/ვიდეო მასალას, რომელსაც წარუდგენს ცენტრს პროექტის დასრულებიდან 3 დღის ვადაში.

6. კლუბის თხოვნით უნივერსიტეტის ტერიტორიაზე უცხო პირთა დაშვება ხდება საქართველოს უნივერსიტეტში დადგენილი წესით. 519-ე საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა დასაშვებია საქართველოს უნივერსიტეტში დადგენილი წესით განსაკუთრებული შემთხვევების და ნებართვის შემთხვევაში (ცვლილება N1, დამტკიცებული პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N 14/19 ოქმით).

მუხლი 7. სანქციები

1. კლუბის მიერ ამ დებულებით დადგენილი ვალდებულებების უხეში დარღვევა, მათ შორის, კლუბის სარეგისტრაციო მოთხოვნების დაუცველობა, გამოყოფილი რესურსის არამიზნობრივი ხარჯვა, საპროექტო დოკუმენტაციაში განზრახ არასწორი ინფორმაციის შეტანა, იწვევს შესაბამის სანქციას.

2. კლუბის მიერ ამ დებულებით დადგენილი ვალდებულებების დარღვევისას ცენტრის მიერ შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი სანქციები:

2.1 გაფრთხილება;

2.2 კლუბისათვის საქმიანობის უფლების შეჩერება ერთიდან ექვს თვემდე ვადით;

3. 2.2 პუნქტით გათვალისწინებული სანქციის დაკისრებისას, სანქციის მოქმედების ვადაში, კლუბის დამფუძნებელს უფლება არ აქვს დააფუძნოს სხვა კლუბი.

მუხლი 8. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. სტუდენტური თვითმმართველი კლუბის საქმიანობის განხორციელების უფლება აქვს ამ დებულებით დადგენილი წესით რეგისტრირებულ კლუბს.

2. ამ დებულების ძალაში შესვლამდე რეგისტრირებული ყველა კლუბი ვალდებულია განმეორებით გაიაროს რეგისტრაცია, ამ დებულებით დადგენილი წესით, 2016 წლის პირველ სექტემბრამდე.

3. ამ დებულების ძალაში შესვლამდე რეგისტრირებული კლუბი ვალდებულია 2017 წლის პირველ იანვრამდე უზრუნველყოს ამ დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულება.

მუხლი 9. დებულების ძალაში შესვლა

1. დებულება ძალაშია 2016 წლის პირველი ივნისიდან.

შეტანილი ცვლილებები:

ცვლილება N1, დამტკიცებული პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N 14/19 ოქმით.

სტუდენტურ საქმეთა ცენტრის დებულება

დამტკიცებულია პარტნიორთა კრების 2016 წლის 1 ივნისის N 4/16 ოქმით

ცვლილება N1 - დამტკიცებული პარტნიორთა კრების 2019 წლის 18 აპრილის N 14/19 ოქმით